სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი წარმოადგენს მთლიანი სახელმწიფო ვალის 79%-ს. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისაგან - პორტფელის საკონტრაქტო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 24 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 10 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 1.9%-ს.

სახელწმიფო ვალის სტრუქტურა 2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით



სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 70% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ და ადვილად ხელმისაწვდომ დონეზე. სახელწმიფო საგარეო ვალის 52% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის და აზიის განვითარების ბანკის შეღავათიანი რესურსების დიდი წილის გამო.

საპროცენტო განაკვეთის ტიპი



სავალუტო სტრუქტურა



საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა

2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

კრედიტორი	კრედიტის ვალუტა	ნაშთი (ათასი)			საპროცენტო განაკვეთი 2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	შეწონილი საპროცენტო განაკვეთი
		კრედიტის ვალუტაში	აშშ დოლარში	ლარში		
სახელმწიფო საგარეო ვალი			**4,169,929**	**6,928,337**		
მრავალმხრივი კრედიტორები			**2,901,449**	**4,820,758**		
განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (WB - IDA)	SDR	751,830	1,139,232	1,892,835	0.75%	0.205%
		96,036	145,522	241,784	2.00%	0.070%
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (WB - IBRD)	USD	216,690	216,690	360,031	0.47%	0.024%
		54,840	54,840	91,117	0.67%	0.009%
		10,000	10,000	16,615	0.90%	0.002%
		33,388	33,388	55,475	0.90%	0.007%
		45,829	45,829	76,146	0.87%	0.010%
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	13,824	20,948	34,805	0.75%	0.004%
		2,937	4,450	7,393	0.43%	0.000%
IMF PRGF (NBG)	SDR	54,600	82,734	137,463	0.50%	0.010%
IMF SBA (NBG & MOF)	SDR	297,275	450,455	748,431	1.07%	0.116%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	USD	2,580	2,580	4,286	1.39%	0.001%
	EUR	895	1,185	1,969	1.34%	0.032%
		74,322	98,378	163,456		
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	SDR	131,270	198,911	330,491	1.00%	0.048%
		38,464	58,283	96,838	1.60%	0.022%
		46,879	71,035	118,024	1.00%	0.017%
	USD	100,000	100,000	166,150	0.74%	0.018%
		6,514	6,514	10,823	1.04%	0.002%
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	EUR	83,533	110,571	183,714	1.09%	0.029%
	EUR	34,700	45,932	76,316	1.16%	0.013%
	EUR	3,000	3,971	6,598	1.20%	0.001%
ორმხრივი კრედიტორები			**765,482**	**1,271,848**		
ავსტრია	EUR	6,558	8,681	14,423	1.00%	0.002%
აზერბაიჯანი	USD	12,353	12,353	20,525	3.00%	0.009%
თურქმენეთი	USD	211	211	351	4.00%	0.000%
თურქეთი	USD	23,610	23,610	39,228	3.00%	0.017%
ირანი	USD	9,651	9,651	16,035	3.00%	0.007%
რუსეთი	USD	101,632	101,632	168,861	4.00%	0.097%
სომხეთი	USD	14,673	14,673	24,378	3.00%	0.011%
უზბეკეთი	USD	304	304	505	3.00%	0.000%
უკრაინა	USD	277	277	461	3.00%	0.000%
ყაზახეთი	USD	27,774	27,774	46,147	4.00%	0.027%
ჩინეთი	CNY	27,000	4,412	7,330	0.00%	0.000%
გერმანია (KfW)	EUR	42,490	56,244	93,449	2.00%	0.027%
		75,000	99,276	164,948	6.06%	0.144%
		1,197	1,584	2,633	4.20%	0.002%
		134,764	178,385	296,387	0.75%	0.032%
იაპონია	JPY	3,767,912	38,366	63,746	2.30%	0.021%
		1,121,043	11,415	18,966	0.01%	0.000%
		5,062,126	51,544	85,641	0.65%	0.008%
		264,515	2,693	4,475	1.30%	0.001%
კუვეიტი	KWD	6,183	21,696	36,048	3.00%	0.016%
ნიდერლანდები	EUR	710	940	1,562	1.34%	0.000%
		204	269	448	4.20%	0.000%
		1,265	1,674	2,782	5.10%	0.002%
აშშ	USD	7,644	7,644	12,700	2.25%	0.004%
		651	651	1,081	1.50%	0.000%
		11,486	11,486	19,083	2.50%	0.007%
		12,321	12,321	20,471	2.00%	0.006%
საფრანგეთი	EUR	11,766	15,575	25,878	1.10%	0.004%
		37,879	50,139	83,307	2.14%	0.026%
ფასიანი ქაღალდები			**500,000**	**830,750**		
ევროობლიგაცია 2021	USD	500,000	500,000	830,750	6.875%	0.824%
გარანტირებული კრედიტები			**2,998**	**4,981**		
გერმანია (KfW)	EUR	2,265	2,998	4,981	0.75%	0.001%
					საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი	**1.934%**

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების გამოყოფას 630,000.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საბიუჯეტო დახმარებისათვის 102,000.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული შეღავათიანი ფინანსური რესურსის ათვისებით სახელმწიფო საგარეო ვალის ხელსაყრელი სტრუქტურა შენარჩუნებული იქნება.

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 692,800.0 ათასი ლარი, საიდანაც 505,200.0 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 187,600.0 ლარი - პროცენტის თანხას. იმ შემთხვევაში თუ საგარეო ვალის პორტფელში შემავალ ცვლად საპროცენტო განაკვეთებზე (Libor, Euribor, SDR Interest Rate) მოხდება უარყოფითი შოკი, ვალის მომსახურების თანხები შეიცვლება შემდგენაირად:

ათასი ლარი	2014 წლის ბიუჯეტი	½ სტანდარტული გადახრის შოკი
ძირითადი თანხა	505,200.00	505,200.00
პროცენტის თანხა	187,600.00	221,900.00
სულ მომსახურება	**692,800.00**	**727,100.00**
%-ად ბიუჯეტის შემოსავლებთან	**8.7%**	**9.1%**

<u>შენიშვნა:</u>
1/2 სტანდარტული გადახრის შოკი სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელში შემავალ ცვლად საპროცენტო განაკვეთებზე (ბოლო 10 წლის მონაცემებზე დაყრდნობით) საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალის მდგრადობის ანალიზის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აგრძელებს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების გამოშვებას შიდა კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით და ინვესტორთა მხრიდან არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით. ამჟამად ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიას. საპროცენტო განაკვეთები (კუპონის და დისკონტის განაკვეთები) სტაბილურად კლებადი ტენდენციით ხასიათდება - საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 12 თვიან სახაზინო ვალდებულებებზე შეადგენს 4.95%, 2 წლიანზე - 5.9%, 5 წლიანზე - 7.9%, 10 წლიანზე - 9.6%.

სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ნაშთი 2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით



2014 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო ვალდებულების ცვლილებას არა უმეტეს 400,000.0 ათასი ლარის წმინდა ზრდით. აღნიშნულიდან გამომდინარე 2014 წლის განმავლობაში განხორციელდება სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისია 710,000.0

ათასი ლარის ნომინალური ღირებულებით, ხოლო დაფარვა 310,000.0 ათასი ლარის მოცულობის ნომინალური ღირებულებით. ასევე განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გადასახდელი პროცენტის მოცულობა 43,093.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო დასაფარი ძირითადი თანხის მოცულობა – 35,000.0 ათასი ლარის ოდენობით „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად.

2014 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალის მოცულობა ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში შეადგენს დაახლოებით 32.0%, აქედან სახელწმიფო საგარეო ვალი დაახლოებით 24.4%, ხოლო სახელწმიფო საშინაო ვალი დაახლოებით 7.7%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2014 წლის ბოლოსთვის (ათასი ლარი)

სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო კრედიტები		**7,592,878**
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან		**5,203,283**
1	მსოფლიო ბანკი (WB)	3,307,021
2	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	67,544
3	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	98,912
4	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	214,666
5	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,054,553
6	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	460,587
ორმხრივი კრედიტორებისაგან		1,455,833
1	ავსტრია	23,949
2	აზერბაიჯანი	19,571
3	თურქმენეთი	359
4	თურქეთი	37,440
5	ირანი	15,240
6	რუსეთი	159,684
7	სომხეთი	22,953
8	უზბეკეთი	458
9	უკრაინა	418
10	ყაზახეთი	47,216
11	ჩინეთი	6,528
12	გერმანია	587,376
13	იაპონია	329,280
14	კუვეიტი	33,549
15	ნიდერლანდები	3,014
16	ამერიკა	49,195
17	საფრანგეთი	119,604
სხვა საგარეო ვალდებულებები		**850,000**
1	ევრობონდები	850,000
სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები		**4,793**
1	გერმანია	4,793
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)		**78,968**
საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა		**2,384,171**
1	ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	440,846
2	სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	132,000
3	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები:	150,000
4	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	989,000
5	ისტორიული ვალი	672,325
სულ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა		**9,977,049**

შენიშვნა: კურსი - 1 აშშ დოლარი=1.7 ლარი